



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 თებერვალი 2025



N 59/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ (საიდენტიფიკაციო კოდი: 216302150) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში, ფეროშენადნობთა და აგლომერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N626/ს; 04/11/2024) შექმნა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია - შპს „სამნი +“ - ის მიერ.

2024 წლის 7 ივლისს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. რუსთავში, ფეროშენადნობთა და აგლომერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N463/ს; 22/08/2024, სკოპინგის დასკვნა N49).

2023 წლის 13 იანვარს, ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N12/ს), რომლის საფუძველზე 2023 წლის 7 თებერვლის N2-45 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის N2-415 ბრძანება.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ძირითადად ითვალისწინებს: N2 და N3 მადანთერმული ლუმელის წარმადობების შემცირებას, N1 ლუმელის ნაცვლად ციციხვი ლუმელის მოწყობას, აგლომერაციის ხაზის მოწყობის ნაცვლად (ფილტრში დაჭერილი მტვრის წარმოებაში დაბრუნების მიზნით) მტვრის ბრიკეტირების დანადგარის მოწყობას.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ სკოპინგის დასკვნის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე 2024 წლის 9 აგვისტოს განხორციელდა შპს „ფერო ელოის ფორდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ინსპექტირება, რომლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ფერო ელოის ფორდაქშენის“ მიერ საწარმოს ტერიტორიაზე უკვე განხორციელდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული გარკვეული სამუშაოები, კერძოდ, განხორციელდა ერთი მადანთერმული ღუმელის დემონტაჟი და მის ადგილზე, ალუმინოთერმის მეთოდით ფეროშენადნობის წარმოებისათვის განკუთვნილი ღუმელისთვის, აშენდა 2,5 მეტრი სიმაღლის და 65 მეტრი ფართობის შენობა-ნაგებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №084291 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნება ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. რუსთავში (მარის არხის III დასახლება), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.07.02.516; 02.07.02.518), რომლის ჯამური ფართობია 13106 მ². „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს საწარმოო ზონას (იზ-1). ანგარიშის თანახმად, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 130 მეტრში, ხოლო უახლოესი ზედპირული წყლის ობიექტი მარის არხი - 65 მეტრში. ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 600 მეტრის დაშორებით მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რუსთავი-გარდაბნის საავტომობილო გზა. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 60 მეტრში მდებარეობს შპს „ლევ 2019“-ის (ყოფილი შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია“) (ს/კ: 02.07.02.042) ცემენტის საწარმო, საწარმოო ტერიტორიიდან ჩრდილოეთის მიმართულებით 35 მეტრში შპს „ქართული ცემენტის“ (ს/კ:02.07.02.599) ცემენტისა და შპს „ინდუსტრია კირის“ (ს/კ: 02.07.02.035) კირის საწარმოები. ასევე, საწარმოს საკადასტრო საზღვართან მდებარეობს შპს „ჯეოფერომეტალის“ (ს/კ: 02.07.02.653) და შპს „ობ გრუპის“ (ს/კ: 02.07.03.035) ფეროშენადნობების საწარმოები, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან 85 მეტრში მდებარეობს შპს „მაქს იმპორტის“ (ს/კ: 02.07.03.034) ცემენტის საწარმო.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია ტექნოლოგიური და არაქმედების ალტერნატივები. ვინაიდან, კომპანიას უკვე მოწყობილი აქვს ფეროშენადნობთა საწარმო, რომლისთვისაც დამონტაჟებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ ტექნოლოგიური მოწყობილობების რეკონსტრუქცია იგეგმება იგივე საწარმოო სივრცეში - საწარმოს განთავსების ალტერნატივის განხილვა არ მომხდარა.

ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან განხილული იქნა ორი ვარიანტი: პირველი - N3 ღუმელის დემონტაჟი, მის ნაცვლად ალუმინოთერმის ციცხვი ღუმელის მოწყობა, N1 ღუმელის უცვლელად დატოვება და N2 ღუმელის წარმადობის შემცირება. მეორე ვარიანტი - N1 ღუმელის დემონტაჟი და მის ნაცვლად ციცხვი ღუმელის მოწყობა და ალუმინოთერმის მეთოდით ფეროშენადნობების წარმოება, N2 ღუმელის წარმადობის შემცირება დღეში 7 ტონამდე და N3 ღუმელის წარმადობის შემცირება დღეში 13 ტონამდე. პირველი ვარიანტის შემთხვევაში, N1 და N2 ღუმელები ერთდროულად ვერ შეძლებენ მუშაობას და სილიკომანგანუმზე შეკვეთის შემთხვევაში, მხოლოდ ერთი ღუმელის ექსპლუატაცია იქნება შესაძლებელი, ამასთან, N3 ღუმელი ახალი მოწყობილია და შესაძლებელია მისი ხანგრძლივი ექსპლუატაცია დამატებითი ხარჯების გარეშე, შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭა მეორე ვარიანტს, რომლის შემთხვევაშიც ღუმელების წარმადობის შემცირება მარტივი შესაძლებელია (მხოლოდ აბაზანის

შიდა მოცულობის და ძაბვის კორექტირებით). ამასთან საწარმო შეძლებს ერთდროულად იმუშაოს როგორც სილიკომანგანუმის, ისე ალუმინოთერმიით მისაღები ფეროშენადნობების წარმოებაზე, ასევე მხოლოდ სილიკომანგანუმზე. მადანთერმული ღუმელების დაბალი წარმადობა საშუალებას იძლევა იმუშაოს უწყვეტი რეჟიმით. ანგარიშის მიხედვით, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებით.

2023 წლის 13 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N12/ს) შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი იყო ფეროშენადნობების სამი ღუმელი ჯამური წარმადობით 47 ტ/დღე-ღამეში, წელიწადში - 15 510 ტონა. აქედან, N1, N2 ღუმელების დღიური წარმადობა შეადგენდა - 24 ტონას, წლიური 7920 ტ, ხოლო N3 ღუმელის დღიური წარმადობა - 23 ტონას, წლიური - 7590 ტონას. აღნიშნული ღუმელების საშუალებით ხდება ფეროსილიკომანგანუმის წარმოება.

საწარმოს ტერიტორიაზე ტექნოლოგიური დანადგარების განთავსებისთვის მოწყობილია შემდეგი უბნები: საღუმელე უბნები, საკაზმე მასალების საწყობი, სანედლეულე მასალების მიწოდების ხაზი, დნობის პროდუქტების ჩამოსხმის უბნები, ღუმელებისა და ტრანსფორმატორის წყლით გაციების მბრუნავი სისტემა, აირმტვერგაწმენდის უბნები, სატრანსფორმატორო ქვესადგური, აგლომერაციის უბანი, ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ფეროშენადნობების წარმოებაში წლის განმავლობაში გამოყენებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობა შეადგენს: მანგანუმის კონცენტრატი -27683.7 ტ, კვარციტი - 6287.49 ტ, კოქსი - 7021.08 ტ, რკინა ან რკინის ხენჯი - 155.1 ტ, კირქვა ან დოლომიტი - 310.2 ტ.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია საწარმოში არსებული სამი ღუმელიდან, ორი (N2 და N3) მადანთერმული ღუმელის წარმადობების შემცირება (N2 ღუმელის წარმადობა შემცირდება 7 ტ/დღემდე, N3 ღუმელის -13 ტ/დღემდე), N1 ღუმელის ნაცვლად ციხვი ღუმელის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება ფეროქრომის, ფეროტიტანისა და ფეროვანადიუმის წარმოება ალუმინოთერმიის მეთოდით. ცვლილება ასევე ითვალისწინებს აგლომერაციის ხაზის მოწყობის ნაცვლად (ფილტრში დაჭერილი მტვრის წარმოებაში დაბრუნების მიზნით), მტვრის ბრიკეტირების დანადგარის მოწყობას.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ ტექნოლოგიური უბნები იქნება შემდეგი: საღუმელე, დნობის უბანი, კაზმის მომზადების (დოზირების) უბანი, ნედლეულის საცავი, სიკილომანგანუმის ჩამოსხმის ხაზი, პროდუქციის მსხვრევის უბანი, პროდუქციის დაფასოების უბანი, აირგამწმენდი უბანი, სატრანსფორმატორო, ნედლეულის (ალუმინოთერმიის და ბრიკეტირების) შერევის უბანი, მტვრის ბრიკეტირების დანადგარი, პროდუქციის საწყობი, ნედლეულის შრობის უბანი, ბრუნვითი წყალმომარაგების უბანი, ფეროშენადნობის (ალუმინოთერმიით მიღებული) გაცივების უბანი, ციხვების შეკეთების უბანი, მექანიკური სახელოსნო, წიდის განთავსების უბანი, სახიფათო ნარჩენების განთავსების უბანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოსაწყობი N1 ღუმელის (ციხვი ღუმელი) წლიური წარმადობა იქნება: ფეროქრომი 2976 ტ/წ, ფეროვანადიუმი 400 ტ/წ, ფეროტიტანი 2494 ტ/წ, თანმდევი ალუმინშემცველი ფლუსი 1800-დან 10 296 ტონამდე წელიწადში. N2 ღუმელის წლიური წარმადობა იქნება - 2310 ტ, ხოლო N3 ღუმელის წლიური წარმადობა იქნება 4290 ტონა, N2 ღუმელში დნობის შედეგად წარმოქმნილი წიდის რაოდენობა შეადგენს 3118,5 ტ/წელ, N3 ღუმელში დნობის შედეგად წარმოქმნილი წიდის რაოდენობა - 5791,5 ტ/წელ. ხოლო ბრიკეტირების დანადგარის წლიური წარმადობა იქნება - 633 ტ/წ. ვინაიდან, N1 და N2

ღუმელები იმუშავებენ მონაცვლეობით (N1 ან N2 ღუმელი). ერთდროულად შესაძლებელია იმუშაოს N1 და N3 ან N3 და N2 ღუმელმა. ანგარიშის თანახმად, საწარმოში დასაქმებული იქნება 90 ადამიანი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 330 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით.

როგორც აღინიშნა, ფეროშენადნობების წარმოებაში გამოყენებული ნედლეულია: მანგანუმი, კოქსი, კვარციტი, დოლომიტი, რკინის ნედლეული. ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შემდეგ ნედლეულის სახეობა არ შეიცვლება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წლის განმავლობაში სილიკომანგანუმის მისაღებად საჭირო ნედლეულის სახეობები და რაოდენობა შემდეგია: მანგანუმი 7656-დან 11 781 ტონამდე, კვარციტი - 1329 -2462 ტონამდე, კოქსი - 1613 - 2690 ტონამდე, რკინა ან რკინის ხენჯი 105-დან 197 ტონამდე, კირქვა ან დოლომიტი 178 ტონიდან - 329 ტონამდე.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ალუმინოთერმიის წარმოების ხაზზე, წელიწადში 2976 ტონა ფეროქრომის მისაღებად საჭირო ნედლეულია: ქრომის მადანი (კონცენტრატი) - 7 200 ტ, ალუმინის ფხვნილი - 1852,8 ტ, რკინის ხენჯი - 864 ტ, ნატრიუმის (კალიუმის) სელიტრა - 225,6 ტონამდე, დოლომიტის ფხვნილი - 960 ტ. წელიწადში 400 ტონა ფეროვანადიუმის მისაღებად საჭირო ნედლეულია ვანადიუმის კონცენტრატი - 1000 ტ, ალუმინის ფხვნილი - 140 ტ, რკინის ხენჯი - 200 ტ, რკინის ნათალი - 80 ტ, დოლომიტის ფხვნილი - 150 ტ, კირი - 780 ტ. წელიწადში 2494 ტონა ფეროტიტანის მისაღებად საჭირო ნედლეულია: ტიტანის მადანი (კონცენტრატი) - 9 504 ტ, ალუმინის ფხვნილი - 2376 ტ, რკინის ხენჯი - 1 425 ტ, კირი - 595 ტ, შპატი - 120 ტ.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მტვრის ბრიკეტირების უზნისათვის ძირითადი ნედლეულია ფეროშენადნობ საწარმოს ფილტრში დაჭერილი მტვერი და თხევადი შემკვრელი. ერთი ტონა მტვრის დასაბრიკეტებლად საჭიროა 36 ლ-მდე შემკვრელი. შემკვრელად გამოიყენება მელასა, რომელიც წარმოადგენს შაქრის წარმოების თანმდევ პროდუქტს. სილიკომანგანუმის მაქსიმალური წარმადობის პირობებში მტვრის ბრიკეტირებისთვის საჭირო ნედლეულის რაოდენობა იქნება: - მტვერი 633,6 ტ/წელ, - მელასა 22,8 ტ/წელ.

როგორც აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ, N1 ღუმელის ადგილზე განთავსდება ალუმინოთერმიის წარმოების დახურული ხაზი, რომლის შიგნით მოწყობილი იქნება რელსი, რომელზეც ურიკით იმომრავებს ციციხვი ღუმელი და შენადნობის ჩამოსასხმელი მულდი. მულდში შენადნობის გაგრილების (გამყარების) შემდეგ გარეთ გამოვა მულდიანი ურიკა, ამწის საშუალებით მოხდება მულდის აღება და გადატანა ნადნობის გაცივების უბანზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სილიკომანგანუმის მიღების ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს შემდეგს: ნედლეულის შემოტანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით, რომელიც განთავსდება ნედლეულის სამარაგო ბაქანზე, საიდანაც ავტოტრანსპორტით ჩაიტვირთება საკაზმე ბუნკერებში, ხოლო ბუნკერიდან დოზატორებით დაიყრება ტრანსპორტიორის ლენტაზე. შემდეგ ლენტის საშუალებით ჩაიყრება საკაზმე ხვიმირაში, რომლითაც მიეწოდება ღუმელების თავზე მოწყობილ მკვებავ ბუნკერებს, საიდანაც თანდათანობით მიეწოდება მადანთერნული ღუმელის აბაზანას. შენადნობის გამოშვება მოხდება პერიოდულად, 2 საათიანი ინტერვალით. შენადნობი მიეწოდება ჯერ საჩამოსხმო მანქანას, რომელიდანაც ჩაისხმება მულდებში, ხოლო შემდგომ სამსხვრევეებს, რის შემდეგაც განხორციელდება პროდუქციის ბიგბეგებში ჩაყრა. დაფასოებული პროდუქცია განთავსდება პროდუქციის ბაქანზე სარეალიზაციოდ. ჩამოსხმის დროს წარმოქმნილი წიდა განთავსდება წიდის ორმოში, საიდანაც გაცივების შემდეგ ექსკავატორით მოხდება ამოღება და ტერიტორიიდან სარეალიზაციოდ გატანა.

როგორც აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ, შენობაში განთავსდება მტვრის ბრიკეტების დანადგარი. უბანზე გამოყოფილი იქნება ნედლეულის (ფილტრში დაჭერილი მტვრის) დასასაწყობებელი სათავსო, სადაც განთავსდება სილიკომანგანუმის წარმოების მტვერი. ბრიკეტის მიღების ტექნოლოგიური პროცესი შემდეგია: მტვერი უბანზე შემოტანილ იქნება ტომრებით აირგამწმენდი უბნებიდან, რომელიც ჩაიყრება შემრევში. შემრევს ემატება თხევადი შემკვრელი და ხდება მექანიკური შერევა, რის შემდეგაც მიიღება წებოვანი ცომისებრი მასა, რომელიც გადატანილ იქნება ბრიკეტების დანადგარის ბუნკერში. ბუნკერიდან მიეწოდება დანადგარის თათებს, რომელიც მექანიკური დარტყმით ახდენს გუნდების შეკვრას და დაწნეხვას, რის შედეგადაც მიიღება - ბრიკეტები. ბრიკეტის გადატანა მოხდება შესაბამისი წარმოების ნედლეულის საცავში (აღნიშნული ემატება კაზმს).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ალუმინოთერმის მეთოდით ფეროშენადნობების წარმოება წარმართება შემდეგი ტექნოლოგიით: საწარმოში შესაბამისი ნედლეულის შემოტანა განხორციელდება ავტოთვითმცლელებით და დასაწყობდება შენობის შიგნით. შემდეგ ტვირთი განთავსდება ნედლეულის ბაქანზე და მიეწოდება საშრობ დოლს. გაშრობის შემდეგ ნედლეული მიეწოდება ბუნკერ-დოზატორებს. ბუნკერებიდან დოზირებული ნედლეული იყრება ლენტაზე და მიეწოდება მექანიკურ შემრევს. შემრევი წარმოადგენს მბრუნავ დოლს, რომელშიც ხდება კაზმის გაშრობა. შერეული და გამშრალი კაზმი იყრება ბადიაში, საიდანაც ამწის საშუალებით მიეწოდება ციხვ ღუმელს, სადაც წარმართება დნობის პროცესები. ციხვი ღუმელი დგას რელსზე მოძრავ ურიკაზე, რომელიც განთავსებულია სადნობი განყოფილების ბუნკერში. რელსზე მოძრავ ურიკაზე ასევე თავსდება ჩამოსასხმელი მულდები. შესაბამისი ნადნობის ჩამოსხმის შემდეგ ხდება ნადნობის თვით გაგრილება დაახლოებით 5 საათის განმავლობაში. ნადნობის მასა გამყარების შემდეგ, ამწის საშუალებით იქნება ამოღებული მულდიდან. გაცივების შემდეგ მიღებული ორივე მასა (ფეროშენადნობები და წიდა) წარმოადგენს პროდუქციას. ფეროშენადნობი და წიდა მიეწოდება სამსხვრევს, რის შემდეგაც თავსდება პროდუქციის ბაქანზე რეალიზაციისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფეროშენადნობების დნობის პროცესში წარმოქმნილი მტვრის ლოკალიზაციისა და გაწმენდისთვის საწარმოს გარეთ განთავსებულია N1, N2 და N3 ღუმელების აირგამწოვი სისტემა, რომელიც შედგება ვენტილატორის (50000 მ³ /სთ წარმადობის), ბატარიული ციკლონისა და სამგანყოფილებიანი სახელურებიანი ფილტრისაგან. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, აირმტვერნარევი მიეწოდება ჯერ ციკლონს, შემდეგ მოხვდება სახელოებიან ფილტრში და გაწმენდის შემდეგ გაიფრქვევა ატმოსფეროში. მტვრის გაწმენდის ჯამური ეფექტურობა შეადგენს 99,9%-ს. გაფრქვევის მილის სიმაღლეებია 23,5 მ, დიამეტრი 0,8 მ. საწარმოს ექნება ორი გაფრქვევის მილი, კერძოდ: ფეროშენადნობების N1 და N2 ღუმელების გაფრქვევის ერთიანი მილი და N3 ღუმელის გაფრქვევის მილი.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება მოხდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების ქსელიდან. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის რაოდენობა წლის განმავლობაში იქნება 450,05 მ³. საწარმოო მიზნებისათვის წყლის აღება მოხდება შეთანხმების საფუძველზე მარის არხიდან, რომელიც შპს „მტკვარი ენერჯის“ საკუთრებაშია. მარის არხიდან აღებული წყლისთვის საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია 283,5 მ³ მოცულობის რეზერვუარი, რომელიც გამოიყენება სამივე ღუმელის გაგრილების სისტემის მომსახურებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, N1 და N2 ღუმელების მიმდებარედ განთავსებულია 100 მ³-ის მოცულობის მიწისქვეშა წყლის რეზერვუარი, რომელიც გამოყენებულ იქნება ციხვი ღუმელის ტრანსფორმატორის ან N2 ღუმელის გაგრილების სისტემისათვის. რეზერვუარის თავზე განთავსდება შხეფსაცივარი. წყლის დანაკლისის შევსება მოხდება 283,5 მ³ რეზერვუარიდან. გაგრილების სისტემაში საჭირო წყლის ხარჯი იქნება წელიწადში 660 მ³. წყალი ასევე

საჭიროა, ალუმინოთერმით მისაღები ფეროშენადნობების გასაციებლად, წლის განმავლობაში 169 მ³. სულ საწარმოო მიზნით გამოყენებული წყლის რაოდენობა წლიურად იქნება 829 მ³. საწარმოს ტერიტორიაზე საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ადგილობრივ საკანალიზაციო კოლექტორში.

გზმ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი, აზოტის ოქსიდი და აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ალუმინის ოქსიდი, კალციუმის ოქსიდი, მაგნიუმის ოქსიდი, მანგანუმის დიოქსიდი, სილიციუმის დიოქსიდი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც გათვალისწინებულია ფონური მაჩვენებლები კანონმდებლობის შესაბამისად, არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს მოქმედი ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს (მაქსიმალური კონცენტრაციები: არაორგანული მტვერის ზღვ-ს წილი 0,68მგ/მ³) საწარმოდან უახლოეს მოსახლესთან (130 მ) და არც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. შესაბამისად, გაფრქვევის მიღებული მაჩვენებლები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს ზღვრულად დასაშვებად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N413 დადგენილების შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, უწყვეტ ინსტრუმენტულ მონიტორინგს დაქვემდებარებული შეიძლება იყოს ორი წყარო: გ-1 (N1 და N2 ღუმელების გაფრქვევის მილი) და გ-2 (N3 ღუმელის გაფრქვევის მილი). მოქმედი ნორმატიული აქტებით, ღუმელების საპროექტო წარმადობის, არსებული აირგამწოვი და გამწმენდი სისტემის პირობებში ორგანიზებული წყაროებიდან გაფრქვეულ აირნარევი დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაცია ნაკლებია საქართველოს მთავრობის N192 დადგენილებით დადგენილ გაზომვების დიაპაზონზე და გზმ-ის ანგარიშის თანახმად, არ ექვემდებარება უწყვეტ ინსტრუმენტულ კონტროლს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ტექნოლოგიური ხაზის ოპერირებასთან, რომელიც განთავსებულია დახურულ შენობა-ნაგებობაში, თუმცა ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს სავენტილაციო სისტემების ვენტილატორები და ძრავები, რომლებიც განთავსებულია შენობის გარეთ. სავენტილაციო სისტემების და ძრავების მუშაობისას ხმაურის მაქსიმალური დონეა 85 დბა, შენობაში განთავსებული დანადგარების ხმაური არ გადააჭარბებს 80 დბა-ს. უახლოეს მოსახლესთან მიმართებით (130 მ) ხმაურის ჯამური დონე გაანგარიშებით იქნება 40,06 დბა, რაც არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს ტერიტორია შემოღობილია 2 მეტრი სიმაღლის ბეტონის ღობით, რაც კიდევ უფრო შეამცირებს ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში ძირითადი ნედლეულის (მადანი ან/და კონცენტრატი) შემოტანა მოხდება უცხოეთიდან. საწარმოში ნედლეულის შემოტანა განხორციელდება, როგორც რკინიგზის ტრანსპორტით, ისე საავტომობილო გადაზიდვებით. საწარმოში ნედლეულის შემოტანისთვის გამოყენებულ იქნება საქართველოს რკინიგზის ცენტრალური ხაზი და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რუსთავი-ჯანდარის საავტომობილო გზა. ავტოტრანსპორტი არ გაივლის დასახლებულ პუნქტს. სატრანსპორტო გადაზიდვების რაოდენობა წლის განმავლობაში იქნება 2080, ხოლო გადატანილი ნედლეულის რაოდენობა იქნება 84 533 ტონა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ობიექტზე წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები, რომლის მართვის მიზნით, გამოყენებული იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი. სახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისათვის საწარმოში მოწყობილია სახიფათო ნარჩენების დახურული სათავსო, სადაც განთავსებულია ჰერმეტიკული, მარკირებული კონტეინერები. სახიფათო ნარჩენები ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. შერეული მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება მოხდება ტერიტორიაზე განთავსებულ სპეციალურ კონტეინერში, რომლის გატანა მოხდება ქალაქ რუსთავის კომუნალური სამსახურის მიერ და განთავსდება მყარი ნარჩენებისთვის განკუთვნილ ნაგავსაყრელზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობა-ნაგებობაში, ხოლო ღია სივრცეში განთავსებულია მხოლოდ წიდის ორმო, სადაც წიდა ჩასხმისთანავე მყარდება და არ იხსნება წყალში, მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას ადგილი არ ექნება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე. საქმიანობის განხორციელების არეალი არ ექვევება ბიომრავალფეროვნების კუთხით სენსიტიური უბნის ფარგლებში ან მის სიახლოვეს. საწარმოს მიმდებარედ ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება.

როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტის მიმდებარედ ზემოქმედების ზონაში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის საწარმოები: შპს „ობ გრუპი“ (ს/კ: 02.07.03.035) სილიკონმანგანუმის საწარმო, შპს „ჯეოფერომეტალი“ (ს/კ: 02.07.03.036) სილიკონმანგანუმის საწარმო, შპს „ინდუსტრია კირი“ (ს/კ: 02.07.02.035) კირის მწარმოებელი საწარმო, შპს „ლევ 2019“ (ს/კ: 02.07.02.042) ცემენტის მწარმოებელი საწარმო, შპს „მაქს იმპორტი“ (ს/კ: 02.07.03.034), შპს „ქართული ცემენტი“ (ს/კ: 02.07.02.599), შპს „სამშენებლო 1“ (სამშენებლო ბლოკის საწარმო). ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კუმულაციური ეფექტის დასადგენად გაანგარიშებისას ფონად გათვალისწინებული იქნა შპს „ობ გრუპი“, შპს „ჯეოფერომეტალი“, შპს „ინდუსტრია კირი“, შპს „ჯანგულაშვილი და კომპანია“, შპს „მაქს იმპორტი“, შპს „ქართული ცემენტი“ (შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“), შპს „სამშენებლო 1“ საქმიანობების პერიოდში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგად დადგინდა, რომ კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (130 მეტრი) მიმართებაში და 500 მეტრიან რადიუსში არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს. ანგარიშის მიხედვით, ხმაურის კუმულაციური ზემოქმედების თვალსაზრისით, შეფასებულ იქნა საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული შემდეგი საწარმოები: შპს „ჯეოფერომეტალი“, შპს „ობ გრუპი“, შპს „მაქს იმპორტი“ და შპს „ლევ 2019“. აღნიშნულ საწარმოებში ხმაურის წყაროს წარმოადგენენ სავენტილაციო სისტემების ვენტილატორები და ძრავები. გაანგარიშების მიხედვით, ხმაურის კუმულაციური ზემოქმედება (28,66 დბა) არ გადააჭარბებს „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და

ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე, გაიგზავნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია აგრეთვე, გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 12 დეკემბერს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საკონსულტაციო კომპანია - შპს „სამნი +“-ს, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“, არასამთავრობო ორგანიზაცია „გავიგუდეთ“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. ქალაქ რუსთავის მერიაში გამართულ საჯარო განხილვაზე, არასამთავრობო ორგანიზაციის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლის შეკითხვა შეეხებოდა საწარმოს ფუნქციონირებისას კუმულაციური თვალსაზრისით, ხმაურის შემარბილებელი ღონისძიებების, კვარტალური და წლიური მონიტორინგის, აგრეთვე, კვარტალური მონიტორინგის დროს თვითმონიტორინგის შედეგად განსაზღვრული ნივთიერებების გაზომვის, ასევე, საპასპორტო მონაცემების მიხედვით, ფილტრის გამოცვლის, ციკლონების გაწმენდის პერიოდულობის და მიღებული წიდის სარეალიზაციო ბაზრის საკითხებს. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების შეკითხვა შეეხებოდა ვენტილატორების განთავსების ადგილიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის და ხმაურის ღონის საკითხებს. გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობაში გამართულ საჯარო განხილვაზე, ადგილობრივი მოსახლეობის შეკითხვები შეეხებოდა საწარმოს სამუშაო საათების ცვლილებისა და კუმულაციური ზემოქმედების საკითხებს. აღნიშნულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთა შპს „სამნი +“-ის და შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვის მსვლელობისას გამოთქმული შეკითხვები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგი - მონიტორინგის გეგმისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის №413 დადგენილების მოთხოვნების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებებთან ერთად) ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები უახლოეს საცხოვრებელი სახლის საზღვარზე (130 მ) და სადნობი ლუმელების გაფრქვევის მილზე. მონიტორინგის გეგმაში ასევე შეტანილი უნდა იქნეს ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატების, შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო, მონიტორინგის სიხშირის და სააგენტოსთან მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია. გეგმაში ასევე მოცემული უნდა იყოს უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვარზე (130 მ - საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით) ინსტრუმენტულ გაზომვებს დაქვემდებარებული შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: მტვერი (TSP), ნახშირბადის მონოქსიდი (CO), აზოტის დიოქსიდი (NO_x) და გოგირდის დიოქსიდი(SO₂). საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით ექსპლუატაციის დაწყებისთანავე უზრუნველყოს (კვირაში ერთხელ) თითოეული პროდუქტის სრული დატვირთვის რეჟიმით წარმოების პირობებისთვის, სულ მცირე 6 თვის მანძილზე, გაფრქვევის გ-1 და გ-2 წყაროებზე ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება ტემპერატურასა და შემდეგ მავნე ნივთიერებებზე: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად, მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გაზომილი მაჩვენებლები მოექცევა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №431 დადგენილების მე-6 დანართით განსაზღვრულ დიაპაზონებში, უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ასევე უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის დანერგვა და განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
8. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ უზრუნველყოს აირმტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობის მუდმივი კონტროლი;
9. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს მარის არხიდან ტექნიკური წყლით მომარაგებისთვის არხის მფლობელთან შეთანხმების განახლება;
10. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
11. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
12. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
13. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
14. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/59-21-4-202502061312>

